

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ გოგოლაშვილი

საკრედიტო რისკების მართვა კომერციულ ბანკებში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოც. პროფესორი ციალა ლომია
პროფესორი თინათინ აბრალავა

რეცენზენტები _____

დაცვა შედგება 2019 წლის "_____" ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში ტექნიკური ხოლო
ავტორეფერატისა ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Resume

The Thesis Paper consists of the Introduction, three Chapters, and the Conclusion. The Introduction of the Paper is of the standard context. Chapter I of the Paper **“Theoretical and Methodological Bases of Management”** considers the essence, classification and regulation problems of the risks. Unconditionally, credit risk is the milestone of the banking system. The problem that the other party fails to fulfill the payment obligation increases by time. Mitigation of the credit risk in the financial sector is one of the most important internal directions the decisions on which are made by the fiscal institution. Lots of Commercial Banks have started to revise the decisions on real estate management according to the market products, services, and compliance regulatory requirements. Commercial Banks of Georgia manage the credit risk by means of the risk management complex system. The management framework covers the organizational structure, methods and models, qualitative and quantitative management tools, regulations and the processes.

The Chapter II of the Paper **“Credit risk management analysis and assessment aspects in commercial banks in Georgia”** considers the essence of the bank risks, management regulation in Georgia, as well as harmonization of the principles of Basel Committee on Banking Supervision in our country and their impact on the formation of the risk management system.

Risk shall be scrutinized in view of the development of the alternative risk management scenarios. Uncertainty cannot be excluded upon the business processes but it can be managed by means of transformation into the planned uncertainty. Some risks can be managed through insurance, mitigation, hedgers and other types of financial planning. However, control of some of the risks by these fiscal mechanisms appears impossible. The credit risk is one of the acutest risks the Commercial Bank may encounter. The credit risk derives from the uncertainty that the debtor or the group of the debtors may fail to fulfill the contractual obligations within the communicated terms. Under the conditions when minimization of the risk to the zero point is impossible, the risk management task is to minimize the negative impact/outcomes of the risk and reduction of the loss to the level admissible for the bank. Hereof Chapter II of the Paper considers the key methods of the risk regulation and stresses the risk mitigation as this component is a necessary precondition for the effective functioning of the risk management system. The mentioned chapter answers one of the central question of the Paper: whether the mortgage is the credit securement mean, the credit risk mitigation mechanism.

Chapter III of the Paper **“Directions of credit risk management improvement in Georgian commercial banks”** is dedicated to the risk management systems in the JSC “TBC Bank”, JSC “Pasha Bank Georgia”, JSC “International Bank of Azerbaijan – Georgia” and JSC “Halyk Bank Georgia”. As we have noted, the analysis and assessment of the credit portfolio risks are the most current problems of the Commercial Banks.

The banks, for successful crediting, shall develop the effective credit risk management system. The Thesis Paper provides hereof solutions. In line with the Paper objectives and the tasks, we have studied the essence of the credit risk upon crediting the natural persons and revealed the peculiarities of the credit risk: the reason for failure of fulfillment of the obligations is incapacity of the client, or the will of the client to abstain from fulfillment of the assumed obligations (negative credit discipline).

The survey revealed the factors as follows related to the credit risk of the natural persons: socio-demographical (gender, age, marital status, working experience),

economic state (insolvency), credit history, peculiarities of the loan (term, securement) and the requirement of the commercial bank.

The Paper provides the respective Conclusion.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. ფინანსურ კრიზისში გამოვლენილმა საბანკო სისტემის სისუსტეებმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის ინტერესების რეალიზაცია კომერციული ბანკების სტაბილურად ფუნქციონირების გარეშე არ შეიძლება იქნას განხორციელებული. ფინანსურმა კრიზისმა კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის წარმოშობის ძირითადი მიზეზები გამოავლინა. ამასთან, განისაზღვრა რისკების მართვის განსაკუთრებული როლი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომერციული ბანკის რისკების მართვის პრობლემების გაგებაში ახალი მიდგომების ჩამოყალიბება გახდა საჭირო. ამასთან ნათელია, რომ კომერციული ბანკების რისკების მართვა დაკავშირებულია პრაქტიკაში უკვე დანერგილ რისკების მართვის სისტემების ხელახალ გააზრებასა და ახალი მიდგომების შეთავაზებების აუცილებლობასთან. კომერციული ბანკების სისტემაში რისკების ეფექტური მართვისადმი კომპლექსური მიდგომების ფორმირების აუცილებლობა ქვეყნის სპეციფიკისა და საბანკო ბიზნესის გაძლიერების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით სადისერტაციო კვლევის თემის აქტუალურობას განსაზღვრავს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს საკრედიტო რისკების მართვის თეორიული საფუძვლების შესწავლა, საბანკო რისკებზე არსებული თეორიების გაანალიზება და განვითარება; მათი შეფასების სახეების, მეთოდებისა და ხერხების განსაზღვრა და პრაქტიკული გამოყენება. საბანკო სისტემაში საკრედიტო რისკების მართვის პრობლემის გამოსავლენად და გადასაჭრელად დასმული საკითხი განსაზღვრავს კვლევის შემდეგ ამოცანებს:

1. საკრედიტო რისკების ადგილის განსაზღვრა საბანკო რისკების მართვის სისტემაში;

2. საკრედიტო რისკების მართვის ძირითადი პრობლემების გამოვლენა;
3. იმ რისკების გამოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ბანკში საკრედიტო რისკის წარმოქმნას;
4. საკრედიტო პორტფელის რისკის შეფასება;
5. რისკების მიტიგაციის (შემსუბუქების) გზების ძიება;
6. იპოთეკის, როგორც საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმის, წარმოჩენა;
7. იპოთეკასთან დაკავშირებული რისკების განხილვა და მათი შემსუბუქების გზების დასახვა.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტური ეკონომიკური კანონების, პროცესებისა და მოვლენების მუდმივი განვითარებისა და ურთიერთკავშირის კანონზომიერების შესასწავლად გამოყენებული დიალექტიკური მეთოდი. ასევე გამოყენებულია ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის, მეცნიერული აბსტრაქციის, შედარებითი ანალიზის, ანკეტური გამოკითხვის, ანალოგიის, დაკვირვების მეთოდები.

შესასწავლი მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ დარგში მომუშავე მეცნიერ-თეორეტიკოსთა თეორიული დებულებები, მეცნიერ-ეკონომისტთა მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საბანკო კანონმდებლობა, მათ შორის ნორმატიული აქტები, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები, კომერციული ბანკების საქმიანობის მონაცემები, ინტერნეტის ბაზის საცნობარო მონაცემები, ექსპერტთა შეფასებები, სტრეს ტესტები, სქორინგი, აგრეთვე ავტორის კვლევის შედეგები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

1. შესწავლილია კომერციულ ბანკებში რისკების მართვის სტრუქტურები და შემოთავაზებულია საკრედიტო რისკის მართვის ახალი და ეფექტიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება კონტროლისა და ბალანსის პრინციპებს;
2. განსაზღვრულია საკრედიტო რისკების დროული გამოვლენისა და რისკის მიტიგაციის ანუ შემსუბუქების ახალი მიდგომები;

3. გამოვლენილია საკვლევ ობიექტებზე იპოთეკასთან (როგორც საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებასა და საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმთან) დაკავშირებული რისკები;

4. გაანალიზებულია „ერთი საცხოვრისის პრინციპი“ და შემოთავაზებულია მისი სრულყოფის მექანიზმი საკრედიტო რისკის მიტიგაციისათვის.

5. დასაბუთებულია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების არსებობის პირობებშიც კი საკრედიტო რისკების წარმოშობა, გამოვლენა, მართვა, მიტიგაცია ძირითადად დამოკიდებულია ბანკში დასაქმებულ ადამიანურ რესურსზე. არგუმენტირებულია, რომ ბანკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსი და შესაბამისად რისკის წყარო ბანკის პერსონალია.

კვლევის საგანი. კომერციულ ბანკებში საკრედიტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების შესწავლა და იპოთეკის, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებისა და საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმის, ანალიზი.

კვლევის ობიექტი. საქართველოს საბანკო სისტემაში შემავალი კომერციული ბანკები: სს „თიბისი ბანკი“, სს „პაშა ბანკი საქართველო“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფისათვის და საბანკო რისკების მართვის პროცესის დახვეწისათვის. წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდისა და რისკის აღნიშნული სახის მართვის განვითარებას ფიზიკური პირების დაკრედიტების თავისებურებების გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგად მიღებული შედეგები პრაქტიკული თვალსაზრისით რეალიზებადია და ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლებასა და შენარჩუნებას. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება ასევე იმაში, რომ შემუშავებულია პრაქტიკული წინადადებები

სამამულო ბანკების მიერ იპოთეკის, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებისა და ამავედროულად საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმის გამოსაყენებლად. კერძოდ კი, დაკრედიტების იპოთეკური სქემა რისკების შეფასება/მიტიგაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს საბანკო პრაქტიკაში. ნაშრომში მოცემულმა დასკვნებმა შეიძლება ასახვა ჰპოვონ შემდგომ კვლევებში, რომლებიც შეეხება სამომხმარებლო სფეროს დაკრედიტების მიზნებისათვის იპოთეკის როგორც უზრუნველყოფის საშუალებისა და შესაბამისად საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმის გამოყენებას. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს ასევე შემდეგში: დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირების საკრედიტო რისკის შეფასების საკითხებზე შიდა პოლიტიკების, პროცედურებისა და ინსტრუქციების შემუშავებისას, რაც ხელს შეუწყობს კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის ამაღლებასა და საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვანას.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომი მოიცავს 113 გვერდს.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი – „რისკების მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ – განხილულია რისკების არსი, კლასიფიკაცია და რეგულირების პრობლემები.

საკრედიტო რისკი უპირობოდ წარმოადგენს საბანკო სისტემის ქვაკუთხედს. პრობლემა, რომ მეორე მხარე არ შეასრულებს გადახდის ვალდებულებას, დროთა განმავლობაში იზრდება. საფინანსო სექტორში საკრედიტო რისკის მიტიგაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შიდა მიმართულებაა, რომელზეც გადაწყვეტილებებს იღებს კომერციული ბანკი. საბაზრო პროდუქტების, სერვისების და შესაბამისობის მარეგულირებელი მოთხოვნების ზრდის კვალობაზე ბევრმა კომერციულმა ბანკმა დაიწყო

გადაწყვეტილებების გადახედვა უძრავი ქონების მართვასთან დაკავშირებით. ქართული კომერციული ბანკები საკრედიტო რისკს მართავენ რისკის მართვის კომპლექსური სისტემის საშუალებით. მენეჯმენტის ჩარჩო მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს და მოდელებს, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მართვის ინსტრუმენტებს, რეგულაციებსა და პროცესებს.

პირველი თავი შედგება სამი ქვეთავისაგან:

1.1. რისკის ცნება და რისკების მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამდღვრები;

1.2. რისკების კლასიფიკაცია და მათი რეგულირების მიდგომების დახასიათება;

1.3. საბანკო-საკრედიტო რისკების მართვის პრობლემები ფინანსური კრიზისის პირობებში.

პირველი ქვეთავი იწყება საქართველოს ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვითა და საბანკო სექტორის ჩამოყალიბების ისტორიით.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ ორიენტაცია აიღო საბაზრო ეკონომიკისაკენ და შესაბამისად იმ პრინციპების დანერგვაზე, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკების საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების დაკრედიტების ეფექტურობის ამაღლება და შესაბამისად კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფა.

საბანკო ბიზნესი მსოფლიოში ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია გლობალიზაციის შეუქცევად პროცესებთან, საკანონმდებლო ნოვაციებთან, კომპიუტერული ტექნოლოგიების სრულყოფასთან, კონკურენციის დონის ამაღლებასთან, საფინანსო ბაზრებზე ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვასთან. ამ პროცესში საბანკო სისტემა ეკონომიკის ფუძეა და ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს საბანკო სისტემა მუშაობდეს შეფერხებების გარეშე, სტაბილურად, ეფექტურად.

საბანკო სისტემის სტაბილურობა მეტწილად დამოკიდებულია საბანკო რისკების სისტემის ეფექტურ მართვაზე. რისკის თითოეული სახე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ერთიანი საბანკო რისკის განსაზღვრაში.

რისკ-მენეჯმენტი (რისკების მართვის სისტემა) მიმართულია მოგების მიღებასა და სამეწარმეო საქმიანობის ზარალის შემცირებას შორის აუცილებელი ბალანსის მიღწევისაკენ. მენეჯმენტის სხვა სისტემებთან ერთად (ფინანსები, საინფორმაციო სისტემები, პერსონალის მართვა და სხვ.) რისკ მენეჯმენტის უნდა წარმოადგენდეს საწარმოს მართვის სისტემის ძირითად ნაწილს. კორპორატიული მართვა აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია - მხოლოდ ამ პირობის შესრულების შედეგად არის რისკ-მენეჯმენტის სისტემის გამოყენება ეფექტური.

მიმდინარე ეტაპზე მეტად აქტუალურია საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს პოზიციონირების საკითხი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნის იმიჯი მსოფლიო ბიზნეს საზოგადოების თვალში მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველო უფრო და უფრო მეტად განიხილება უცხოელი პარტნიორების მიერ როგორც სერიოზული და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სუბიექტი და საიმედო ქვეყანა ინვესტიციების განსახორციელებლად. ამავდროულად, საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პროცესებში და აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო, საფინანსო ურთიერთობების გაფართოება ქართული კომერციული ბანკებისათვის დამატებითი რისკების გამომწვევ მიზეზად იქცა.

საბანკო საქმე ისტორიულად იცნობს არაერთ შემთხვევას, როდესაც კომერციული ბანკის არსებითი ფინანსური (და არა მხოლოდ ფინანსური) პრობლემები განპირობებული იყო ქვეყნის რისკით. დღეისათვის მსოფლიოში არაერთი სამეცნიერო და კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც იკვლევს ქვეყნის რისკების დონეს. იმ ძირითად და ავტორიტეტულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ამ პრობლემას აფასებენ, შეიძლება გამოვყოთ:

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც სწავლობს აღნიშნულ პრობლემას და წარმოაჩენს მას თავის ყოველწლიურ ანგარიშში World Economic Outlook. ისეთი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები, როგორებიცაა Moody's, Standard and Poors, Fitch. გამომდინარე იქიდან, რომ სარეიტინგო სააგენტოების მუშაობა არსებით გავლენას ახდენს საგარეო ბაზარზე კაპიტალის განაწილებასა და საგარეო კრედიტორებისა და ინვესტორების საქმიანობაზე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს აღნიშნული სააგენტოების მიერ ქვეყნის რისკის მინიჭების მეთოდოლოგია და მინიჭებული რეიტინგების მომატებასა და შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები.

როგორც წესი, რისკი თავისთავად არ არის ყოველთვის ნეგატიური მოვლენა - იგი აიძულებს სამეწარმეო სუბიექტებს (უპირველეს ყოვლისა, კომერციულ ბანკებს) ხშირად გადახედონ თავიანთი განვითარების სტრატეგიას, დაგეგმონ ანტიკრიზისული ზომები და თავიანთ საქმიანობაში ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ რისკების დივერსიფიკაციას.

იმ ბანკების წინაშე, რომლებიც აფასებენ ქვეყნის რისკს, რისკის ამ სახის შეფასებისას შემდეგი ამოცანები დგას:

-რისკის მოცულობის რაოდენობრივი ანალიზი ამა თუ იმ საერთაშორისო ოპერაციების მიმართ, რისკის დასაშვებობის ანალიზი და შეფასება, რამდენად გამართლებულია რისკზე წასვლა;

-ქვეყნის რისკის რეიტინგების შედგენა სხვადასხვა ზომის ქვეყნის წარმომადგენელი ფიზიკური პირებისა თუ სამეწარმეო სუბიექტების დაკრედიტების რისკის, შესაბამისი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და განვითარების დონის შესადარებლად;

-იმ ღონისძიებების სისტემის შემუშავება, რომელიც დანაკარგების წარმოშობის ალბათობას შეამცირებს. მითითებული ანალიზის ჩატარება დამოკიდებულია ბანკის საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებაზე (საცალო დაკრედიტება, კორპორაციული დაკრედიტება), მის სტრუქტურასა და ორგანიზაციულ მასშტაბებზე. აღნიშნულ ღონისძიებებს კომერციული ბანკები ახორციელებენ შიდა პერსონალის ან გარე ექსპერტების დახმარებით

ან ორივე რესურსის ერთდროულად გამოყენებით.

ამავე თავის მეორე ქვეთავი ეთმობა რისკების კლასიფიკაციას და მათი რეგულირების მიდგომებს.

არსებობს საბანკო რისკების კლასიფიკაციისადმი განსხვავებული მიდგომები. საბანკო საქმიანობის შესწავლის შედეგად შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახის ძირითადი რისკები: საკრედიტო, საბაზრო და საპროცენტო, ლიკვიდურობის, საოპერაციო, სამართლებრივი, რეპუტაციის, სტრატეგიული, შესაბამისობის. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია თითოეული მათგანი.

საკრედიტო რისკი განიმარტება როგორც მსესხებლის/კონტრაქტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოემვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. საკრედიტო რისკის სტრატეგიის და პოლიტიკის დამტკიცებისა და რეგულარულ განხილვაზე პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკის დირექტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელების და პროცედურების შემუშავებისთვის, რომელთა საფუძველზე მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკამ და პროცედურებმა, თუ ისინი სწორად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.

ბანკმა უნდა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვასა და დამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიაროს. ამასთან წინასწარ უნდა იქნეს მიღებული რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციები და დირექტორატის თანხმობა.

ამავე თავის მესამე ქვეთავი ეთმობა საბანკო-საკრედიტო რისკის მართვის პრობლემებს ფინანსური კრიზისის პირობებში. აღნიშნულია, რომ რისკი იმანენტურია თითოეული საბანკო ოპერაციისათვის. კრედიტის გაცემა ბანკის მიერ თავისთავად ნიშნავს უკვე რისკზე წასვლას.

იმ ფაქტორის გათვალისწინებითაც, რომ ბოლო წლებში ეკონომიკაში და საფინანსო სექტორში მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ცვლილებები განხორციელდა, რისკების მართვამ ახლებურად დაგვანახა თავისი დანიშნულება და გაზრდილი აუცილებლობა. განსაკუთრებულად გაიზარდა რისკების მართვის დანიშნულება კომერციულ ბანკებში. მიზეზი მდგომარეობს შემდეგში:

- გლობალიზაცია, რომელიც ცალკეული სექტორების განვითარებასთან ერთად იწვევს საკრედიტო რისკების ახალი სახეები განვითარებას;
- გადახდისუნარობის მკვეთრი ზრდა;
- ტექნოლოგიური წინსვლა კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კვალობაზე, რამაც არსებითად განაპირობა საკრედიტო რისკის ახალი მოდელების განვითარება;
- ტრადიციული უზრუნველყოფის საშუალებების ღირებულების მკვეთრი შემცირება.

აღნიშნულის ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია ადრეულ ეტაპზე გამაფრთხილებელი სენსიტიური სისტემების შემუშავება და პრაქტიკაში რეალიზაცია.

ნაშრომის ამავე ქვეთავში შემოთავაზებულია რისკების მართვის საუკეთესო სტრუქტურა კომერციულ ბანკში.

ნაშრომის მეორე თავში კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების მართვის ანალიზი და შეფასების ასპექტები საქართველოში განვიხილეთ საბანკო რისკების არსი, მართვის რეგულაცია საქართველოში, ასევე საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პრინციპების ჰარმონიზაცია ჩვენს ქვეყანაში და მათი გავლენა რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე. რისკის შესწავლა აუცილებელია იმისათვის, რომ შევიძინოთ რისკის

მართვის ალტერნატიული სცენარები. განუსაზღვრელობა შესაძლოა ვერ გამოვრიცხოთ, მაგრამ შესაძლებელია მისი მართვა დაგეგმილ განუსაზღვრელობაში ტრანსფორმირების გზით. ნაშრომში მოცემულია რისკების რეგულირების პრობლემების დახასიათება, მათ შორის - ნორმატიული რეგულირების. განხილულია რისკების იდენტიფიკაციის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები თითოეული კომერციული ბანკის ინდივიდუალური სტრუქტურისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ნაშრომში დეტალურადაა განხილული რისკების ანალიზის, შემსუბუქების, მონიტორინგის გზები და სისტემები.

ზოგიერთი რისკი შესაძლოა ვმართოთ დაზღვევის საშუალებით, ჰეჯირებით, მიტიგაციით და ფინანსური დაგეგმვის სხვა სახეების გამოყენებით, მაგრამ რისკის ზოგიერთი სახის კონტროლი ამ ფინანსური მექანიზმებით შეუძლებელია. იმ პირობებში, როდესაც რისკის დაყვანა ნულამდე შეუძლებელია, რისკების მართვის ამოცანაა, რისკის ნეგატიური გავლენის/შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, დანაკარგების მოცულობის შემცირება ბანკისათვის დასაშვებ დონემდე.

მეორე თავი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა:

2.1. საბანკო რისკების მართვის დახასიათებლების მიმოხილვა;

2.2. ბაზელის კომიტეტის მიდგომები საბანკო რისკებზე და საბანკო რისკების საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საქართველოში;

2.3. კომერციული ბანკების რისკების ანალიზი და შეფასება საქართველოში.

საბანკო სისტემაში რისკების მართვა ერთ–ერთი პრიორიტეტული და სენსიტიური საკითხია. საბანკო სისტემამ სწრაფი ცვლილებები განიცადა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა. რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არა არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან.

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს რისკების შეფასება. აღნიშნული სტადიის მიზანი ის

არის, რომ ბანკმა შეძლოს მისი ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება. ბანკმა ობიექტურად უნდა შეაფასოს ბანკში არსებული ყველა ძირითადი რისკი, გაცნობიერებულ უნდა იქნას, კონკრეტულად რომელი და რა დონის რისკისთვის არის მზად ბანკი, ასევე რა დონისძიებები გაატაროს რისკის შესამცირებლად. ამის მისაღწევად აუცილებელია რისკების მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვა, რომლის გამოყენებით შესაძლებელი იქნება რისკების ზუსტი იდენტიფიცირება და შეფასება.

რისკების მართვა სარგებელობას მოუტანს როგორც საბანკო სისტემას, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს. რისკების ეფექტიანად მართვით კომერციული ბანკის მენეჯმენტს შეუძლია გააუმჯობესოს აქტივების ღირებულება, მიიღოს ინფორმაცია მომავალში ბანკის შესაძლო ზარალის შესახებ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე გააუმჯობესოს სისტემური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და პროცესები, გამოიყენოს როგორც ბანკის მუშაობის შეფასების უფრო ზუსტი ბაზა, ისე შეაფასოს ბანკის შედარებით კომპლექსური ინსტრუმენტებისა თუ ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები და შექმნას რისკების მართვის ისეთი ჯანსაღი ინფრასტრუქტურა, რომელიც ბანკის კონკურენტუნარიანობას გააძლიერებს.

მეორე ქვეთავი ეხება ბაზელის კომიტეტის მიდგომებს საბანკო რისკებზე და საბანკო რისკების საკანონმდებლო ბაზის ანალიზს საქართველოში.

1988 წელს ბაზელის კომიტეტმა გამოუშვა კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო ინსტრუქცია, რომელიც ცნობილია, როგორც ბაზელ I და რომელიც შეიცავს საფინანსო ორგანიზაციისთვის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების კომპლექტს და ძირითადად შეეხება საბანკო რისკების მართვის საკითხის რეგულირებას. აღნიშნულმა შეთანხმებამ გამოიწვია კრიტიკა იმის თაობაზე, რომ რეგულირების წესებში არ იყო გათვალისწინებული რისკის სენსიტიურობა.

ბაზელის შეთანხმებები შემუშავებულია საბანკო სექტორში სისტემური კრიზისების საპასუხოდ. აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს

განეკუთვნება ბაზელ I, ბაზელ II და ბაზელ III. შეთანხმებას მიერთებული ყველა ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკი და რეგულატორი ვალდებულია გამოიყენოს ბაზელის კომიტეტის მოთხოვნები ეროვნული საბანკო სისტემების რეგულირებისა და ზედამხედველობის ფარგლებში. კრიზისის სპეციფიკის მიხედვით ბაზელის შეთანხმების თითოეულ პერიოდში ყურადღება ექცეოდა რისკების იმ სახის მართვას, რომელიც აღნიშნული კრიზისის მიზეზს წარმოადგენდა.

1994 წელს J.P. Morgan ბანკმა შეიმუშავა რისკის გაზომვის საშუალება - რისკის ღირებულება Value at Risk (VaR), რომელიც ანგარიშობდა კვანტილის (შედეგს) განაწილებას, მოცემულ პერიოდში. ეს მეთოდი გახდა საკმაოდ პოპულარული ინსტრუმენტი რისკ მენეჯერებისთვის; 1996 წელს მნიშვნელოვანი შესწორება გაკეთდა კომიტეტის მიერ გაითვალისწინეს საბაზრო რისკი. 2004 წელს ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა ახალი ჩარჩო ინსტრუქცია - „საერთაშორისო კონვენცია კაპიტალის შეფასებისა და სტანდარტის“; 2006 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელსაც ეწოდა ბაზელ II; მსგავსება ბაზელ I-თან არის ის, რომ ესეც უბრალოდ რეკომენდაციებია და არ აქვს კანონიერი ძალა. ევროკავშირმა 2008 წელს ჩართო აღნიშნული რეკომენდაციები თავის სამართლებრივ სისტემაში, თავისივე წევრებისთვის.

კომიტეტის სამდივნო განთავსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკში ბაზელში (შვეიცარია). „ბაზელ II“ შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

- I. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები
- II. ზედამხედველობის პროცესი
- III. საბაზრო დისციპლინა.

საბანკო რისკების მართვის საკითხის რეგულირება საქართველოში 2008 წელს დაიწყო. აღნიშნულის საკანონმდებლო საფუძველი გახდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის შესახებ“, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ რეალური დაინტერესება ამ საკითხისადმი მოხდა 2014 წლიდან, როდესაც დაინერგა მთელი რიგი მოთხოვნებისა კომერციული ბანკების მიმართ.

აღნიშნული მოთხოვნები კი თავის მხრივ ბაზელის კომიტეტის პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის რეალიზებას წარმოადგენდა.

ამავე თავის მესამე ქვეთავი შეეხება კომერციული ბანკების რისკების ანალიზსა და შეფასებას საქართველოში.

ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა საქართველოს 4 კომერციულ ბანკში (სს „თიბისი ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „პაშა ბანკი საქართველო“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“) 2017 წლის განმავლობაში სტრეს-ტესტირებასთან დაკავშირებით ბანკის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

შემდგომი ქვეთავი თითქმის მთლიანად ეთმობა ჩატრებული კვლევის შედეგებს და მათ განზოგადებას, რომელიც თვალსაჩინოებისათვის მოცემულია ცხრილების სახით.

ნაშრომის მესამე თავი – „საკრედიტო რისკების მართვის სრულყოფის მიმართულებები საქართველოს კომერციულ ბანკებში“ – განვიხილეთ რისკების მართვის სისტემები სს „თიბისი ბანკში“, სს „პაშა ბანკი საქართველო“-ში, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“-ში, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ში. აღვნიშნეთ, რომ კომერციული ბანკების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი და შეფასება. წარმატებული დაკრედიტებისათვის ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის სისტემა. დისერტაცია სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას ეხება.

დისერტაციაზე მუშაობის დროს დასმული მიზნისა და ამოცანების შესაბამისად გამოვიკვლეთ საკრედიტო რისკის არსი ფიზიკური პირების დაკრედიტების დროს. გამოვავლინეთ საკრედიტო რისკის თავისებურება: ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზია კლიენტის უუნარობა, ან მისი ნება, რომ არ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები (ნეგატიური საკრედიტო დისციპლინა). ამდენად, ფიზიკური პირების დაკრედიტებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: საკრედიტო ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანი (ან საკრედიტო

ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ოდენობის შემოსავლების მიუღებლობა), რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მსესხებელს არ აქვს უნარი (სათანადო ფინანსური შესაძლებლობა) ან აქვს ნეგატიური საკრედიტო დისციპლინა, რაც განაპირობებს კომერციული ბანკის წინაშე ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებას ან/და შეუსრულებლობას. კვლევის დროს გამოვლინდა ფიზიკური პირების საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტორები: სოციალურ-დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, მიმდინარე სამუშაო ადგილზე მუშაობის სტაჟი), ეკონომიკური მდგომარეობა (გადახდისუნარიანობა); საკრედიტო ისტორია; მიღებული კრედიტის თავისებურებანი (ვადა, უზრუნველყოფა), კომერციული ბანკის მოთხოვნა.

დაბრუნებადობა კრედიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. პოტენციური მსესხებლის დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კომერციული ბანკი ცდილობს, მიიღოს რაც შეიძლება სანდო გარანტია იმისათვის, რომ მისი ფულადი სახსრები გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ და დაბრუნდება დათქმულ ვადაში შესაბამის საპროცენტო სარგებელთან ერთად. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვაში, საბანკო საქმიანობაში ბანკსა და მსესხებელს შორის საკრედიტო ურთიერთობებს საფუძვლად არ უნდა ედოს მხოლოდ რწმენა ბანკისა, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულებები შესრულდება ჯეროვნად, კეთილსინდისირად, დათქმულ დროსა და ადგილას, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნულ ურთიერთობებს ბანკის ნდობისა და რწმენის გარდა საფუძვლად უნდა დაედოს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო (იპოთეკა, გირავნობა) და პიროვნული საშუალებები (საბანკო გარანტია, თავდებობა).

მხედველობაშია მისაღები რიგი ქვეყნების მიერ 2008-2009 წლის გლობალური კრიზისის შედეგად მიღებული გამოცდილება. აღნიშნული დროისათვის ბანკებს „ბალასტის“ სახით აღმოაჩნდათ თავიანთ ბალანსზე დაგროვილი უძრავი ქონება. მან კი გამოიწვია საბანკო სფეროს და უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი, რომელიც ძალიან მალე ჯერ მთლიანად

საფინანსო კრიზისში, ხოლო მოგვიანებით მხოლოდ ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა, ისეთ კრიზისში, რომელიც მსოფლიოს 1933 წლის „დიდი დეპრესიის“ შემდეგ არ ახსოვს.

რისკების უკეთ ანალიზისათვის აუცილებელია ცოდნა იმ მექანიზმებისა თუ ალტერნატივებისა, რაც დაკავშირებულია იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციასთან ან ბანკის საკუთრებაში გადაცემასთან. საკმაოდ ბევრი ეტაპის გავლაა საჭირო, სანამ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია განხორციელდება ბანკის მიერ. უნდა აღინიშნოს შემდეგი: იპოთეკით ქონების დატვირთვა არ ნიშნავს ბანკის უპირობო უფლებას, რომ მოახდინოს აღნიშნულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა. ამ მდგომარეობაში ბანკისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქონება იყოს ლიკვიდური, შესაბამისად, ქონების შეფასება და გადაფასება იყოს ადექვატური.

ნაშრომის აღნიშნულ თავში ასევე განხილულია რისკების რეგულირების ძირითადი მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებულია რისკების შემსუბუქებაზე ანუ მიტიგაციაზე, რადგან აღნიშნული კომპონენტი აუცილებელი წინაპირობაა რისკების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ამავე თავში თანმიმდევრულადაა გაანალიზებული და ცხრილის სახით მოცემული იპოთეკით უზრუნველყოფილ კრედიტებთან დაკავშირებული რისკები.

ნაშრომის აღნიშნულ თავში პასუხი გაეცა ნაშრომის ცენტრალურ კითხვას: წარმოადგენს თუ არა იპოთეკა კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებას და საკრედიტო რისკების მიტიგაციის მექანიზმს.

ნაშრომის მესამე თავი მოიცავს შემდეგ ქვეთავებს:

3.1. საკრედიტო რისკების მართვის სრულყოფის ასპექტები საბანკო რისკების სისტემაში;

3.2. საკრედიტო რისკების მონიტორინგი და შემცირების მექანიზმების დამკვიდრების საკითხები საქართველოში.

საკრედიტო საქმიანობა საბანკო საქმიანობის ის ძირითადი სახეა, რომელიც მას სხვა არასაბანკო დაწესებულებების საქმიანობისაგან განასხვავ-

ვებს. მართალია, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც გასცემენ კრედიტებს, მაგრამ მათი საქმიანობის მასშტაბები, საკანონმდებლო დონეზე კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ლიმიტები და კოეფიციენტები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბურია და შესაბამისად, საკრედიტო რისკების ალბათობაც უფრო დიდი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკრედიტო პორტფელის სწრაფი ზრდის შედეგად გაიზარდა საკრედიტო რისკის ანალიზის მნიშვნელობა. ფინანსური კრიზისის შემდეგ, ახალმა რეგულაციებმა აიძულა კომერციული ბანკები გაეუმჯობესებინათ საკრედიტო რისკის მენეჯმენტი.

საკრედიტო რისკი განისაზღვრება, პირველ რიგში, როგორც ეკონომიკური რისკი, რომელიც ფინანსური რესურსების მართვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეკონომიკური რისკების სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, საკრედიტო რისკი სპეციფიკურ თვისებებსაც ფლობს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ის, რომ იგი კრედიტის მოძრაობასთან არის დაკავშირებული.

რისკების მართვის არქიტექტურა წარმოადგენს საერთო ჩარჩოს რისკის ყველა სახის მართვისათვის. იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. იგი უნდა წარმოადგენდეს ინტეგრირებულ გზას რისკის იდენტიფიკაციისათვის;
2. იგი უნდა წარმოადგენდეს მექანიზმს რისკების მონიტორინგისა და კონტროლისათვის;
3. რისკის მიტიგაციის მიზნით მან უნდა შეძლოს, რომ გამიჯნოს ტრანზაქციისათვის განკუთვნილი და საკრედიტო პორტფელისათვის განკუთვნილი ჰეჯირების სტრატეგიები.

ბანკის დირექტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელების და პროცედურების შემუშავებისთვის, რომელთა საფუძველზე მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. მნიშვნელოვანია ბანკში შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა. პოლიტიკამ

და პროცედურებმა, თუ ისინი სწორად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.

საკრედიტო რისკის მენეჯმენტი მოითხოვს შესაბამის მიდგომებს. აუცილებელია, რომ შეიქმნას ინსტიტუციური სტრუქტურა დელეგირების შესაბამისი სისტემით, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული შესაბამისი რგოლის პასუხისმგებლობა.

ბაზელის და სხვა საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია დამოუკიდებელი და ეფექტიანი რისკების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობა. რისკების მართვის ძლიერმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ოთხი თვალის პრინციპის, ინტერესთა კონფლიქტის საკითხების გამართული ჩარჩოს, რისკებთან დაკავშირებული ანგარიშგებისა და კომუნიკაციის არსებობა, როგორც დირექტორატის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. რისკების მართვის არქიტექტურა წარმოადგენს საერთო ჩარჩოს რისკის ყველა სახის მართვისათვის. იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. იგი უნდა წარმოადგენდეს ინტეგრირებულ გზას რისკის იდენტიფიკაციისათვის;
2. იგი უნდა წარმოადგენდეს მექანიზმს რისკების მონიტორინგისა და კონტროლისათვის;
3. რისკის მიტიგაციის მიზნით მან უნდა შეძლოს, რომ გამიჯნოს ტრანზაქციისათვის განკუთვნილი და საკრედიტო პორტფელისათვის განკუთვნილი ჰეჯირების სტრატეგიები.

მნიშვნელოვანია ბანკში შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა.

თვით განვითარებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების არსებობის პირობებშიც კი ადამიანური რესურსი დიდ როლს თამაშობს და მისი ბოლომდე ჩანაცვლება შეუძლებელია.

სწორედ აქედან გამოდინარეობს კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკების მართვისათვის. ეს კომპონენტია რისკის კულტურა.

რისკების მართვის სისტემა არ შეიძლება არსებობდეს რისკების კულტურის გარეშე. რისკების კულტურა დანერგილ უნდა იქნეს თითოეულ კომერციულ ბანკში და მენეჯმენტი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ეს კულტურა სიცოცხლისუნარიანი იყოს და გასცდეს ფაქტების მხოლოდ ფორმალურ კონატექტირებას. მისასაღმებელია, რომ საქართველოს საბანკო სივრცეში საკანონმდებლო დონეზე გაესვა ხაზი რისკის კულტურის მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

შეიძლება ითქვას, რომ რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს რისკ-მენეჯმენტის მიერ დანერგილი და გამოყენებული ინსტრუმენტები, ისინი ეფექტურია იმდენად, რამდენადაც კომერციულ ბანკში დანერგილია რისკების მართვის სწორი კულტურა. რისკის კულტურა შესაძლებელს უნდა ხდიდეს რისკ-მენეჯერებსა და სხვა თანამშრომლებს შორის ინფორმაციის ჯეროვან გაცვლასა და სწორ აღქმას. რისკის კულტურა არის ორგანიზაციაში თანამშრომლების ქცევის სისტემა, რომელიც მიმართულია რისკების გამოვლენისა და მართვისაკენ.

განვითარებული რისკ-კულტურა ნიშნავს, რომ ბანკის თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული რისკ-მენეჯმენტის ფუნქციასთან, შეუძლიათ საუბარი რისკ-მენეჯერებთან ერთ ენაზე და ესმით, თუ რას ნიშნავს ბანკისათვის მთლიანობაში რისკის სხვადასხვა სახის, მათ შორის კი საკრედიტო რისკის მართვა და რა გავლენის მოხდენა შეუძლია მართვის ამ პროცესზე კონკრეტულ თანამშრომელს.

ამავე თავის მეორე ქვეთავი – „საკრედიტო რისკების მონიტორინგი და შემცირების მექანიზმების დამკვიდრების საკითხები საქართველოში“ – ეფუძნება იმ კონცეფციას, რომ სტრეს ტესტები (ხოლო მათ შემდგომ ჩვენი აზრით, თავისი მნიშვნელობით - საკრედიტო სქორინგი) წარმოადგენს კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების შეფასების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

მიგვაჩნია, რომ ბანკი უნდა ზრუნავდეს სტრეს-ტესტების სცენარების მაქსიმალურ სრულყოფაზე და საბანკო განვითარების კვალდაკვალ უნდა ახდენდეს სტრეს-ტესტების მაქსიმალურად რთული სცენარების შემუშავებას.

ბანკი ატარებს სხვადასხვა სტრეს-ტესტებს და ახდენს სხვადასხვა პარამეტრების საპროგნოზო სცენარების გაანალიზებას. აღნიშნული ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს/გაზომოს არა მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე იდენტიფიცირებული რისკები, არამედ მოვლენების სტრესული სიტუაციის განვითარების შემთხვევაში წარმოშობილი ახალი შესაძლო რისკები.

საბანკო რისკების მართვის მექანიზმებს შორის ჩვენს მიერ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა სტრეს-ტესტირების პროცესი.

სტრეს-ტესტი მიზნად ისახავს რისკების შეფასების შევსებას ანომალურ საბაზრო პირობებში, ბანკის პოტენციური ეკონომიკური ზარალის შეფასების მეშვეობით, რათა დადგინდეს ბანკის მგრძობელობა რისკ ფაქტორების ცვლილებებისადმი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის პორტფელზე.

სტრეს-ტესტის ჩატარებისას რისკების შეფასების სისტემა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რაც მრავალი სცენარის გამოყენების საშუალებას შექმნის. სტრესტესტის დროს გამოყენებული დაშვებები გულდასმით უნდა იქნეს შემუშავებული, რათა მოხდეს ბანკის პორტფელში არსებული ტენდენციების შემოწმება. ბანკმა უნდა ჩაატაროს სტრეს-ტესტი წარსულში მიღებული უდიდესი ზარალის (დანაკარგის) საფუძველზე და წარსულში მომხდარი დიდი საბაზრო ცვლილებების გათვალისწინებით.

სტრეს ტესტირება შეიძლება წარმოდგენილ იყოს შემდეგი სცენარის სახით:

- ისტორიული სცენარები:
- ნავთობის კრიზისი 1973/74;
- შავი ორშაბათი - ოქტომბერი 1987;
- სავალუტო კრიზისი ევროპაში 1992;
- აქციებზე ფასების გლობალური დაცემა 1994.

ბოლო პერიოდის საქართველოს მაგალითზე ასეთ მოვლენად

შეიძლება მივიჩნიოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

სტრეს-ტესტის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს პოტენციური ზარალის დაანგარიშება, რის შედეგადაც ბანკს შესაძლებლობა მიეცემა შეაფასოს ყველა უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება ბანკის მოგებასა და კაპიტალში ცვლილებებით იყოს გამოწვეული.

საკრედიტო რისკის შეფასების მექანიზმის სრულყოფისათვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დაკავშირებულ პირებზე გაცემული კრედიტების კონცენტრაციის შემცირებას და მის რეგულარულ კონტროლს. საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც დაკავშირებული პირების მიერ ხდება საკრედიტო რესურსების ბოროტად გამოყენება და ბანკისათვის ზიანის მიყენება (როგორც ფინანსური, ასევე რეპუტაციული).

დღეისათვის, როდესაც მოქმედი რეგულაციები ადგენს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს, მიმართულს ბანკში რისკ-მენეჯმენტის საუკეთესო პოლიტიკის დანერგვისადმი. ავტორი იმედოვნებს, რომ ბაზარზე არსებული კომერციული საკრედიტო რისკების ეფექტური მართვით კომერციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობას მაღალ დონეზე უზრუნველყოფენ.

დასკვნა

დისერტაციაში მოცემულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, გამოგვეტანა შემდეგი დასკვნები:

1. რისკის მართვის პროცესში უნდა მონაწილეობდეს ბანკის ყველა თანამშრომელი, მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ამასთანავე, ბანკი სიფრთხილითა და განსაკუთრებული წინდახედულებით უნდა მოეკიდოს კორპორაციული მართვის საფეხურებს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხს.
2. რისკის მართვა უნდა მოიცავდეს ეს ყველა საბანკო რისკს, წარმოშობის დროის მიუხედავად.
3. ეროვნული ბანკის მიერ უნდა განხორციელდეს კომერციული ბანკის მენეჯმენტის სავალდებულო საკვალიფიკაციო შემოწმება/ატესტაცია

(როგორც თანამდებობაზე განწესებამდე, ასევე უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში). მოქმედი რეგულაციები აღნიშნულ მოთხოვნას არ მოიცავს.

1. ადამიანური რესურსი საკრედიტო რისკის გამომწვევ ან/და მაპროვოცირებელ გარემოებად/წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საკადრო პოლიტიკას და რისკის კულტურის დანერგვას კომერციულ ბანკში.
2. რისკების მართვის პროცესი და შესაბამისად, ბანკის საკადრო პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნეს რისკის მმართველ სტრუქტურულ ერთეულში რისკის ცალკეული სახეების მაკონტროლებელი თანამშრომლების შრომის დანაწილებაზე/დივერსიფიკაციაზე რისკის სახეების მიხედვით. ბანკში დანერგილი უნდა იქნეს რისკების მართვის კულტურა.
3. რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს კომერციულ ბანკებს, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას და რისკის შემცველი მოქმედებების დროულ ესკალაციას.
4. კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიიღება ძირითადად მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს. უზრუნველყოფის საშუალებები ბანკმა საკრედიტო რისკის შესამცირებლად უნდა გამოიყენოს და არა მის გამოსარიცხად. იპოთეკა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საკრედიტო რისკის შემსუბუქების (მიტიგაციის) და არა გამორიცხვის საშუალება. იპოთეკის საგნის შეფასება სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამორიცხული ასევე სამართლებრივი რისკები.
5. კრედიტის ხარისხის შეფასება უნდა განხორციელდეს ორი ძირითადი კრიტერიუმის კომბინირების საფუძველზე: მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და მისი მიერ კრედიტის მომსახურება;
6. რისკის მმართველი სტრუქტურული ერთეულები სწორად და სრულად უნდა იყოს ფორმირებული ნებისმიერი მოცულობის ბანკში. უნდა მოხდეს გამიჯვნა იმ სტრუქტურული ერთეულებისა, რომლებიც ახორციელებენ კრედიტის გაცემას და სტრუქტურული ერთეულების,

რომლებიც ახორციელებენ მის მონიტორინგს, ამდენად, მკაცრად უნდა იყოს გამოიჯნული რისკის ამღები და რისკის მკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულები.რადგან აღნიშნული გამოიჯვნა მინიმუმამდე დაიყვანს ინტერესთა კონფლიქტს და ხელს შეუწყობს მუშაობის ეფექტურობის ამადლებას.

7. ბანკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსი და აქედან გამომდინარე რისკის წყარო არიან ბანკის თანამშრომლები. თვით განვითარებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების არსებობის პირობებშიც კი ადამიანური რესურსი დიდ როლს თამაშობს და მისი ბოლომდე ჩანაცვლება შეუძლებელია.
8. ნებისმიერ შემთხვევაში აიკრძალოს იმ ქონების იპოთეკით დატვირთვა, რომელიც მსესხებლის ოჯახის ერთადერთი საცხოვრებელია.
9. საკრედიტო რისკის გამომწვევი ფაქტორები უნდა დავყოთ შიდა და გარე ფაქტორებად. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკრედიტო რისკების გამომწვევი ფაქტორების შემდეგი კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელოთ:
 - მაკროეკონომიკური ფაქტორები
 - მსესხებელთან დაკავშირებული ფაქტორები;
 - ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები.
10. მნიშვნელოვანია, რომ გარდა საკრედიტო რისკისა რისკის სხვა სახეებსაც დაეთმოს არანაკლები ყურადღება შესაბამისი ორგანოების მხრიდან და შეიქმნება ერთიანი ბაზა, სადაც განთავსდება ჰაკერულ, თაღლითურ და ა.შ. გარიგებებში მყოფი თანამშრომლებისა და კლიენტების მონაცემები.
11. ბანკს არ უნდა ჰქონდეს დასაკუთრებული უძრავი ქონების იჯარით გაცემის უფლება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბანკებს, მეტად კონცენტრირებული იყვნენ იპოთეკის საგნის შერჩევისა და შეფასების პროცესში და მეტი ყურადღება დაუთმონ აქტივების ხარისხს.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – რისკების მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.
2. კოლოკვიუმი 2 – საბანკო რისკები და რისკების მართვის რეგულაცია საქართველოში.
3. კოლოკვიუმი 3 – საკრედიტო რისკების მართვა კომერციულ ბანკებში საკვლევ ობიექტებზე.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. Гоголашвили Т. «Управление проблемными кредитами и залоговыми имуществом в коммерческих банках Грузии». II International Scientific Conference of Young Researchers. Proceedings. 1st Book. Baku Engineering University, 27-28 April 2018, Baku, Azerbaijan. გვ. 728-731;
2. ლომაია ც., გოგოლაშვილი თ. “ქვეყნის რისკი კომერციული ბანკების საქმიანობაში“. ჟურნალი „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედრივე პრობლემები“ №3(15), 2018 წ. გვ. 97-101
3. ლომაია ც., გოგოლაშვილი თ. “საკრედიტო პორტფელის რისკების მართვა კომერციულ ბანკებში“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №4 სექტემბერი-დეკემბერი 2018 წ. გვ. 95-98.
4. ლომაია ც., გოგოლაშვილი თ. „რისკის კულტურა კომერციული ბანკების საქმიანობაში“. ჟურნალი „ეკონომიკა“ №5-6, 2019 წ. გვ. 96-100.

კონფერენცია:

1. ლომია ც., გოგოლაშვილი თ. „იპოთეკა - როგორც კომერციული ბანკების საკრედიტო რისკების მიტიგაციის საშუალება“, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, 24-25 მაისი, 2019 წ.